



**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
კბილის ტექნიკოსი IV საფეხურის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კბილის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული განათლების საფეხური: IV საფეხური

პროგრამის მოცულობა: 30 კრედიტი (750 საათი), აქედან (60%) - 18 კრედიტი (450 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) - 12 კრედიტი (300 საათი) - პრაქტიკას.

პროგრამის ხანგრძლივობა: 20 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

პროგრამის მიზანი – კბილის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული განათლების მიზანია შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს ორთოდონტია და ბავშვთა ასაკის პროთეზირება; კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა; მოსახსნელი ფიტფიტოვანი პროთეზი; მოსახსნელი ბიუგელისებური პროთეზი; მოუხსნელი კონსტრუქციის პროთეზები; მეტალოპლასტმასის კონსტრუქციები; ბიოეთიკა და სხვა.

სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის სადექ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტები, დაზიანებები, დეფორმაციები; შეუძლია მოდელზე მათი ამოცნობა და ორთოდონტიული აპარატის შერჩევა მოქმედების პრინციპის მიხედვით.</p> <p>იცის ორთოპედიული კონსტრუქციების შესაქმნელად გეგმის შედგენა თანამედროვე უახლესი მასალებისა და ტექნოლოგიების შერჩევით.</p> <p>იცის მოსახსნელი ორთოპედიული ბიუგელისებური პროთეზების დამზადების ტექნიკა.</p> <p>იცის მოსახსნელი ორთოპედიული ფირფიტოვანი პროთეზების დამზადების ტექნიკა.</p>
-------------------------------------	---

	<p>იცის მოუხსნელი პროთეზების დამზადება.</p> <p>იცის კბილის გვირგვინებისა და კბილთა მწკრივის დეფექტების წარმოქმნის მიზეზები, კლინიკა და შეუძლია მისი აღდგენა მეტალოპლასტმასის კონსტრუქციით. იცის სხვადასხვა სახის მოსაპირკეთებელი პლასტმასის გამოყენების ტექნოლოგია.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია კბილის გვირგვინების და კბილთა მწკრივის დეფექტებისა და დეფორმაციების გამოსწორება ნებისმიერი ორთოპედიული კონსტრუქციებით, მირჩილვა, შედუღება, მეტალების დამუშავება, ჩამოსხმა.</p> <p>შეუძლია კბილის სატექნიკო ლაბორატორიის სპეციფიკიდან გამომდინარე სამუშაოს დაგეგმვა და შესრულება; დაუფლებულია ძერწვისა და ცვილით მოდელირების ხელოვნებას.</p> <p>შეუძლია სამუშაო მოდელის ჩამოსხმა, მოდელის დამუშავება. ფლობს ფაიფურსა და პლასტმასებზე მუშაობის მეთოდებს; შეუძლია ნებისმიერი პროცედურისთვის შესაფერისი მასალის კრიტიკული ანალიზით შერჩევა და გამოსაყენებელი მეთოდის მისადაგება.</p> <p>შეუძლია მუშაობის პროცესში წამოჭრილი ამოცანის გადასაჭრელად საინფორმაციო წყაროების გამოყენება და სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება შრომის შედეგების გასაუმჯობესებლად.</p> <p>საღეჭ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი ანომალიების და დეფორმაციების ამოცნობა მოდელებზე და რეაბილიტაციის საკითხების დაგეგმვა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია ნებისმიერი ორთოპედიული კონსტრუქციის შესაქმნელად საჭირო ტექნოლოგიის შერჩევა, გამოსაყენებელი მასალების ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და საბოლოო შედეგის ანალიზი.</p> <p>შეუძლია დასკვნის გაკეთებამდე გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, გაეცნოს უახლესი მასალების გამოყენების მეთოდებს და მიღებული დასკვნა დასაბუთებულად ჩამოაყალიბოს.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ინგლისურ ენაზე მოიძიოს და დაამუშაოს საჭირო ინფორმაცია. ათვისებული აქვს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; შეუძლია მათი გამოყენება პრაქტიკაში.</p> <p>შეუძლია კბილის სატექნიკო სამუშაოებთან დაკავშირებით გააზრებული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია შესაბამის სფეროში სიახლეების დამოუკიდებლად მოძიება და საკუთარი ცოდნის განახლების საშუალებების დაგეგმვა; შეუძლია სწავლის შემდგომი საფეხურისათვის მომზადება.</p>

ღირებულებები	იცის პროფესიასთან დაკავშირებით როგორც სამართლებრივი, ასევე დარგის ეთიკური საფუძვლები. ნებისმიერ სიტუაციაში მოქმედებს მისი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ნორმების შესაბამისად. შეუძლია ცვალებად სიტუაციაში პრობლემის გადაწყვეტა კოლეგებისა და პაციენტების სასარგებლოდ.
---------------------	--

დასაქმების სფეროები – კბილის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში.